საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურაბ ძლიერიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი:

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის #1/4 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ ზურაბ ძლიერიშვილის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u>** <u>საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:</u> **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

		მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მისი სიმართლისმოყვარეობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	ზურაბ ძლიერიშვილის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ზურაბ ძლიერიშვილს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. ზურაბ ძლიერიშვილს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის პატიოსნებაზე, სამართლიანობაზე, კორექტულობაზე, კომპეტენტურობაზე. აღნიშნავენ, რომ გამოირჩევა პიროვნული კეთილსინდისიერებითა და მაღალი პროფესიული სინდისით. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან, ობიექტურ პიროვნებას. ამასთან აღნიშნავენ, რომ არის შეუვალი და მტკიცე, მართლმსაჯულების განხორციელებისას განუსრელად იცავს კანონიერებისა და სამართლის უზენაესობის პრინციპს.

კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მსარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისას (ასეთი ფაქტის არსებობის

		შემთხვევაში). საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ძლიერიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად, სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის კორექტული, გაწონასწორებული, თავშეკავებული, ორგანიზებული, პუნქტუალური, მოაზროვნე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. კოლეგებს შორის სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, გამოცემული აქვს არაერთი სამეცნიერო წიგნი და სტატია, რაც დადებითად აისახება მის პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე. ზურაბ ძლიერიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია განხილული საქმეების თაობაზე. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და

			პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს. **5. ფინანსური ვალდებულებები** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ზურაბ ძლიერიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით:
მახასიათებელი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში

			ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. ზეურაბ ძლიერიშვილთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. საჯარო მოსმენის პროცესში დასმულ თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა კვალიფიციურად და ამომწურავად. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის საკითხებზე, მოჰყავდა მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან; დეტალურად ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის თემაზე; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ კონვენციის თაობაზე; ადამიანის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე; სარჩელის დასაშვებობაზე და ამ უფლების ბოროტად გამოყენებაზე (მაგალითად მოიყვანა ცალკეული საქმეები), „jura novit curia" პრინციპზე და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს რამოდენიმე სამართლებრივ კითხვაზე გაუჭირდა კონკრეტული და ამომწურავი პასუხის გაცემა მაგალითად: მხილების ინსტიტუტის არსი და მამხილებლის დაცვის გარანტიები; სისხლის სამართლის პროცესში კანონის ანალოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით (მოიყვანა არარელევანტური საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან);

			გაუჭირდა მსჯელობა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებულ მექანიზმზე. ზურაბ ძლიერიშვილმა ვრცლად ისაუბრა ყველა დასმულ კითხვაზე, მიმაჩნია რომ საფუძვლიან პროფესიულ ცოდნასთან ერთად არის მრავალმხრივ განვითარებული და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის სფეროში, თვალსაჩინოა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. ზურაბ ძლიერიშვილთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი კარგად, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს მსჯელობას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მიმაჩნია, რომ მას აქვს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარი. წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას შეუძლია საფუძვლიანად, თავისუფლად და დამაჯერებლად მსჯელობა. დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებს. ზურაბ ძლიერიშვილს აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის 10 წლიანი გამოცდილება. საჯარო მოსმენის შედეგად მივიჩნევ, რომ მისი მსჯელობა იყო ლოგიკური,

			დამაჯერებელი და თანმიმდევრული. ამასთანავე, ვფიქრობ ხშირად საუბრობს ზედმეტად ვრცლად, რაც ხელს უშლის უშუალოდ დასმულ საკითხთან შინაარსობრივი ბმის შენარჩუნებაში.
წერის უნარი	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი და სხვა. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა ძირითადად არის ლოგიკური და თანმიმდევრული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. გასაუბრებიდან ჩანს, რომ ზურაბ ძლიერიშვილს კარგად აქვს განვითარებული ზეპირი კომუნიკაციის უნარი. მეტყველებს გამართულად და აზრს აცალიბებს გარკვევით. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მიმღეობის უნარი. მინაჩნია, რომ მისი მსჯელობა ხშირ შემთხვევაში იღებს ვრცელი თეორიული განხილვის სახეს, რაც დასმული საკითხის მთავარ საკანს სცილდება ხოლმე..
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური, ფლობს კარგ მენეჯერულ და სამოსამართლო უნარებსა და მანერებს, შესწევს დატვირთულ რეჟიმში მუშაობის

			უნარი. საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი 98.9%. გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი კი - 100%. საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 0,5 საქმე. საჯარო მოსმენის პროცესში უჭირდა დამსწრე აუდიტორიასთან კონტაქტი. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან საშოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. ზურაბ ძლიერიშვილი ფლობს გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმართლის სპეციალიზაციით. 1998 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკავებდა ადმინისტრაციულ თანამდებობას. კანდიდატი არის სამართლის დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, არის სამართლის სფეროში არაერთი წიგნის/სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი.
პროფესიული აქტივობა	5	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის

			მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ძლიერიშვილი აქტიურად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით. როგორც უკვე აღინიშნა, მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. ყოველივე აღნიშნული აშკარად მიუთითებს, რომ ზურაბ ძლიერიშვილის აქვს მისწრაფება, არა მხოლოდ მიიღოს ახალი, აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია, არამედ მუდმივად დახვეწოს პროფესიული შესაძლებლობები და გაიღრმავოს შეძენილი ცოდნა.
ქულათა ჯამი	91	100	

თარიღი : 29.04.2024

ხელმოწერა: